საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (GIPA)

გამოყენებითი ფსიქოლოგიის სამაგისტრო პროგრამა

საგანმანათლებლო პროგრამის საგნების მოკლე აღწერა

სავალდებულო კურსები

"ფსიქოლოგიის ახალი ტენდენციები" - ლექტორი ვლადიმერ გამსახურდია

თანამედროვე ფსიქოლოგია სწრაფად ვითარდება და დღეს ყურადღებას ამახვილებს ისეთ დინამიკურ მიმართულებებზე, როგორიცაა ნეირომეცნიერებებთან ინტეგრაცია, ტექნოლოგიური პროცესების ფსიქოლოგიური ანალიზი, კულტურულ-ქართულ გარემოში ადაპტირებული ინტერვენციები, ხელოვნური ინტელექტის გავლენა, ემოციური და შეცნობითი პროცესების ახალი მოდელები, ფსიქიკური ჯანმრთელობის გლობალური პარადიგმები და ა.შ. კურსი მიმართულია უახლეს, ინტერდისციპლინურ, მტკიცებულებებზე დაფუძნებულ ხედვებზე როგორც თეორიული გააზრებ-გაფართოების მხრივ, ისე კვლევითი და ანალიტიკური უნარების განვითარებაზე.

კურსის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, მაგისტრანტი შეძლებს:

- თანამედროვე ფსიქოლოგიის ძირითადი ტენდენციების კრიტიკულ ანალიზს;
- ახალი კვლევების შეფასებას, მეთოდოლოგიური და ეთიკური კუთხით;
- ნეირომეცნიერებებთან, ტექნოლოგიებთან და ხელოვნურ ინტელექტთან დაკავშირებული გლობალური ტრენდების გაგებას;
- კულტურულ-კონტექსტუალური ფაქტორების გათვალისწინებასა და ინტეგრირებას;
- არსებული ცოდნის გამოყენებას ადგილობრივი (ქართული) პრაქტიკის გაუმჯობესებაში.

"შესავალი სპეციალობაში" (კურსი სავალდებულოა იმ მაგისტრანტებისთვის, ვინც ფსიქოლოგის ბაკალავრის კვალიფიკაციას არ ფლობს) - ლექტორი თამარ ჩხაიძე

კურსის მიზანია სტუდენტებს გააცნოს ფსიქოლოგიის სფერო და გააცნობიერებინოს მისი აქტუალურობა თანამედროვე სამეცნიერო კონტექსტში. სტუდენტები მიიღებენ ცოდნას ფსიქოლოგიური მეცნიერების საგნისა და მიზნების შესახებ. გაეცნობიან ძირითად ფსიქიკურ პროცესებსა (კოგნიტური, აფექტური, მოტივაციური) და მათი მოქმედების ზოგად კანონზომიერებებს. გაეცნობიან ფსიქოლოგიის სხვადასხვა დარგის სპეციფიკასა და მათი გამოყენების არეალს. მიიღებენ ინფორმაციას ფსიქიკური დარღვევების თავისებურებების შესახებ და გაეცნობიან ფსიქიკური ჯანმრთელობის უზრუნველყოფის გზებს.

კურსის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, მაგისტრანტი შეძლებს:

- ფსიქოლოგიური მეცნიერების სხვადასხვა დარგში გარკვევას და ფსიქოლოგიური ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებას;
- ფსიქოლოგიური მეცნიერების ცნებების გამოყენებით დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბებას;

- წარმართოს დისკუსია ფსიქიკური ცხოვრების ძირითადი ასპექტების შესახებ, ფსიქოლოგიური მიმდინარეობების საკვანძო დაშვებების გათვალისწინებით;
- ფსიქოლოგიის შესავლის კურსის ფარგლებში თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს გამოყენებას, სამეცნიერო თვალსაზრისით რელევანტური და სანდო ინფორმაციის მოსაძიებლად.

"გავლენის ფსიქოლოგია I და II" - ლექტორი თინათინ ჩხეიძე

გავლენის ფსიქოლოგიის როლის შესწავლა როგორც ორგანიზაციების მართვის, ისე პოლიტიკური განვითარების გააზრების პროცესებში, რაც თანამედროვე ფსიქოლოგიური თეორიისა და პრაქტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია. ყურადღება მახვილდება დარგის აქტუალური პრობლემების იდენტიფიკაციაზე, შესაბამისი კვლევების მიმოხილვასა და ანალიზზე. ასევე, დეტალურად განიხილება კონკრეტული პრობლემები და შემთხვევები, მათი ფსიქოლოგიური ანალიზის ფარგლებში. შესაბამისად, სასწავლო კურსების მიზანია გავლენის ფსიქოლოგიის პრობლემატიკის ცოდნის მიწოდება, გავლენის ფსიქოლოგიაში გამოყენებული ზემოქმედების საშუალებების ცოდნისა და მათი პრაქტიკული გამოყენების უნარის შემუშავება, შეძენილი ცოდნის საფუძველზე რეალური და სიმულირებული სიტუაციების გაანალიზება და მათი გადაჭრისათვის შესატყვისი გზების მოძებნა.

კურსის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, მაგისტრანტი შეძლებს:

- გავლენის ფსიქოლოგიის პრობლემატიკის საფუძვლიან და სიღრმისეულ ანალიზს;
- კონკრეტული შემთხვევების იდენტიფიკაციას, აღწერას და დიფერენციალურ ანალიზს;
- გავლენის ფსიქოლოგიაში გამოყენებული ზემოქმედების საშუალებების აღწერას, განმარტებას და ანალიზს;
- გავლენის სხვადასხვა სტრატეგიის ამოცნობას, პროგნოზირებას და შესაძლო რისკების შემცირებას.

„კვლევის მეთოდები და დიზაინი ფსიქოლოგიაში"- ლექტორი თამარ ჩხაიძე

სიღრმისეულად განიხილება სოციალური კვლევის ძირითადი ასპექტები და მეთოდები, კვლევის ძირითადი პრინციპები, მისი ეპისტემოლოგიური, მეთოდოლოგიური და ეთიკური საკითხები; აკადემიური წერის ძირითადი პრინციპები. კვლევის კრიტიკული შეფასების უნარის განვითარებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება - მეცნიერული კვლევის სწორი დაგეგმვისთვის საჭირო ცნებებისა და პროცესების შესწავლა, რაც თეორული, ემპირიული და მეთოდოლოგიური საკითხების ერთმანეთთან დაკავშირების საფუძველია.

კურსის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, მაგისტრანტი შეძლებს:

- თეორიული საკითხების გაანალიზებასთან ერთად, გამოამჟღავნოს რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევების ჩატარების კარგი უნარი: კვლევის საკითხის (ჰიპოთეზის) ფორმულირება, კვლევის დიზაინის დაგეგმვა, კონკრეტული მეთოდის შერჩევა, მონაცემებთა შეგროვება, ანალიზი და შედეგების წარმოდგენა, კვლევის საბოლოო ანგარიშის წარდგენა APA-ს სტანდარტის მიხედვით.

პიროვნების ფსიქოდიაგნოსტიკა - ლექტორი თამარ ტურაშვილი

სიღრმისეულად განიხილება არსებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა პიროვნების/პერსონალის ფსიქოდიაგნოსტიკაში, ტესტის თეორიასა და მეთოდოლოგიაში.

კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ, მაგისტრანტი შეძლებს იმუშაოს გამოყენებითი ფსიქოლოგიის როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ სფეროში, რაც გამოიხატება შემდეგში:

- პიროვნების/პერსონალის საკვლევი მეთოდების გამოყენება და მიღებული შედეგების საფუძველზე კვალიფიციური დასკვნის გაკეთება (ფსიქოდიაგნოსტიკური დასკვნა);
- სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტის ძირითადი მახასიათებლების შეფასება და რელევანტურიბის განსაზღვრა არსებულ კვლევით თუ პრაქტიკულ ამოცანებთან მიმართებაში;
- კვლევის დამოუკიდებლად წარმართვა, მიღებული შედეგების კორექტულად გაანალიზება და წარმოდგენა.

„საჯარო ორგანიზაციების მენეჯმენტი“ - ლექტორი მამუკა მახათაძე

თანამედროვე ორგანიზაციული მენეჯმენტის სიღრმისეული განხილვა. ყურადღება მახვილება მენეჯმენტის იმ ძირითად პრინციპებზე, რომლებიც წარმატებული ორგანიზაციების ჩამოყალიბებისა და მართვისთვისაა აუცილებელი. კრიტიკულად განიხილება კონკრეტული “ქეისები“, მათ შორის - ფსიქოლოგიური პლატფორმიდან.

კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ, მაგისტრანტი შეძლებს:

- სისტემურად განსაზღვროს საჯარო ორგანიზაციების მართვის ძირითადი პრინციპები და დაუკავშიროს ისინი ფსიქოლოგიურ ცოდნას;
- სისტემურად და სიღრმისეულად აღწეროს მენეჯმენტის თეორიები, მეცნიერული მენეჯმენტის წარმოშობა;
- ორგანიზაციებში სიტუაციური ანალიზის საფუძველზე, დამოუკიდებლად განახორციელოს მართვის მოდელები საჯარო ორგანიზაციებში;
- დამოუკიდებლად გამოიყენოს მენეჯმენტის ძირითადი მოდელები პრაქტიკაში;
- კრიტიკულად შეაფასოს საჯარო ორგანიზაციების მართვის სფეროში არსებულ პრობლემები;
- კეთილსინდისიერების სტანდარტების დაცვით, გააცნობიეროს და გაიაზროს ეთიკური ღირებულებები ორგანიზაციაში და ხელი შეუწყოს ორგანიზაციული კულტურის გაძლიერებას ორგანიზაციის მართვაში.

არამომგებიანი ორგანიზაციების მენეჯმენტი - ლექტორი თამარ კობერიძე

განიხილება არამომგებიანი სექტორის წარმოშობის ისტორია პოსტ-საბჭოთა სივრცეში და მისი განვითარების ძირითადი პრინციპები და ღირებულებები. ყურადღება ექცევა არამომგებიანი ორგანიზაციების ორგანიზაციულ მართვას. ასევე განიხილება არამომგებიანი ორგანიზაციების საკანონმდებლო ბაზა, ფინანსური მდგრადობისა და მარკეტინგის საფუძვლები.

კურსის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, მაგისტრანტი შეძლებს:

- საფუძვლიანად აღწეროს მართვის სტრუქტურა და ძირითადი კომპეტენციები;
- სისტემურად გაიაზროს, მათ შორის - ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, მმართველობითი საქმიანობის თანამედროვე მიდგომები, მეთოდები და

პრიორიტეტული მიმართულებები;

- სიღრმისეულად გაერკვეს სოციოლოგიური პროცესების განვითარების პერსპექტივასა და ძირითად პრინციპებში;
- დამოუკიდებლად განსაზღვროს საზოგადოებასა და ხელისუფლებაში სოციოლოგიური მიდგომების ადგილი და როლი;
- საფუძვლიანად შეძლოს მონაცემთა დიდი მასის მოძიება, მასთან მუშაობა, სტატისტიკური მონაცემების ანალიზი და სამომავლო მუშაობაში გამოყენება;
- დამოუკიდებლად წარმართოს პრაქტიკული კვლევა (მეორადი მონაცემების ანალიზი, ანკეტირება, ინტერვიუ, ფოკუს-ჯგუფი, დაკვირვება და ა.შ);
- არამომგებიანი ორგანიზაციების სფეროში, ნათლად დაინახოს და გააანალიზოს მართვის პროცესში არსებული პრობლემები.

ჯგუფთაშორისი ურთიერთობები და კონფლიქტი. ლექტორი - რუსუდან მშვიდობაძე

ჯგუფთაშორისო (და ჯგუფისშიდა) კონფლიქტების შესახებ არსებული თეორიებისა და პრაქტიკის განხილვა. კონკრეტული კონფლიქტის ყოველმხრივი ანალიზი: კონფლიქტის გადაწყვეტის გზები, პიროვნებისა და გუნდის როლი კონფლიქტის ესკალაციის შესაჩერებლად.

კურსის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, მაგისტრანტი შეძლებს:

- კონფლიქტურ სიტუაციაში ადეკვატური ქცევის სწორად დაგეგმვასა და წარმართვას;
- კონფლიქტის მოგვარებისა ან მიტიგაციის ალტერნატიული გზების ძიებას და პრაქტიკაში გამოყენებას.

რაოდენობრივ მონაცემთა ანალიზი SPSS-ის საშუალებით I - ლექტორი თამარ ჩხაიძე

კურსის მიზანს წარმოადგენს მაგისტრანტებს მისცეს ღრმა და სისტემური ცოდნა რაოდენობრივ მონაცემთა ანალიზის მეთოდების შესახებ, რაც აუცილებელია სამაგისტრო ნაშრომზე სრულყოფილი მუშაობისთვის.

კურსის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, მაგისტანტი შეძლებს:

- კვლევის ჰიპოთეზის შესამოწმებლად, დამოუკიდებლად შეარჩიოს რელევანტური სტატისტიკური კრიტერიუმი;
- გამოიყენოს SPSS-ში მუშაობის ძირითადი პრინციპები;
- მონაცემთა ანალიზის შედეგების წარდგენას APA-ს სტანდარტის შესაბამისად - როგორც აკადემიურ, ისე პროფესიული საზოგადოების წინაშე.

სავალდებულო-არჩევითი კურსები

სავალდებულო მართვის/ორგანიზაციული ფსიქოლოგიის მიმართულებისთვის

ადამიანური რესურსების მართვა (HRM) - ლექტორი ირმა ოქროპირიძე

დღევანდელი სამუშაო გარემო ძალიან სწრაფად იცვლება, ორგანიზაციები ეძებენ კადრებს, რომლებიც შეძლებენ სწრაფ ადაპტირებას საკუთარი თავის ცვალებად და დივერსიფიცირებულ გარემოსთან, ისინი ახდენენ ინვესტირებას სხვადასხვა ცოდნის თუ გამოცდილების მქონე ადამიანებში, რაც კრიტიკულს ხდის ადამიანური რესურსების ფუნქციას კონკურენტული უპირატესობის მიღწევისთვის. მიუხედავად შედარებით მოკლე დროისა, კურსი უზრუნველყოფს სრულფასოვან განათლებას ადამიანური რესურსების მართვის სფეროში, რაც მიიღწევა ინტენსიური სწავლება-სწავლით.

კურსის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, მაგისტრანტი შეძლებს:

- სისტემურაად, სიღრმისეულად და საფუძვლიანად გაიაზროს HRM-ის არსი, მისი ფუნქციები, პროცესები და სტრატეგიები;
- თანმიმდევრულად და ლოგიკურად განსაზღვროს ადამიანური რესურსების მოთხოვნა მიწოდებას ბაზარზე;
- დამოუკიდებლად დაგეგმოს და განახორციელოს თანამშრომლების შერჩევა და აყვანა;
- დამოუკიდებლად განსაზღვროს სხვადასხვა მიმდინარეობები კომპენსაციის მართვაში;
- კრიტიკულად გააანალიზოს და შეაფასოს HR-ის როლი კომპანიის ბრენდინგში და ორგანიზაციული კულტურის ჩამოყალიბებაში;
- სიღრმისეულად შეაფასოს განსხვავება ტრენინგსა და განვითარებას შორის და განსაზღვროს საჭიროებები.

„საორგანიზაციო ქცევა“ - ლექტორი თეა გველესიანი

ყურადღება მახვილდება საორგანიზაციო ქცევის სფეროში არსებულ მოდელებსა და პროგრამებზე. მოცემული დისციპლინის ფარგლებში მიწოდებული მასალის ინტერპრეტირება ხდება მენეჯერის პოზიციიდან, პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით. ფსიქოლოგიის პლატფორმიდან, განიხილება რეალური და სიმულირებული სიტუაციები და მათი გადაჭრისათვის შესატყვისი გზების ანალიზი.

კურსის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, მაგისტრანტი შეძლებს:

- სისტემურად განმარტოს და შეაფასოს ორგანიზაციული ქცევა და მასთან დაკავშირებული ძირითადი ცნებები;
- დამოუკიდებლად გააანალიზის ორგანიზაციული ქცევა ინდივიდის, ჯგუფის და ორგანიზაციული პროცესების დონეზე;
- გამოყოს ორგანიზაციულ ქცევასთან დაკავშირებით წამოჭრილი პრობლემები და დამოუკიდებლად მოახდინოს მათი დაძლევის გზების ძიება და პრობლემების გადაწყვეტა;
- დამოუკიდებლად იკვლიოს ორგანიზაციული ქცევის ეფექტურობისთვის მნიშვნელოვან პიროვნული მახასიათებლები, უნარები, ინტერესები და ღირებულებები.

ქცევითი პრობლემები ორგანიზაციაში და მათი გადაწყვეტა ფორუმ თეატრის ტექნიკის საშუალებით - ლექტორი მარინა კვიცარიძე

ფორუმ-თეატრი აუგუსტო ბოალის მიერ შემუშავებული ეფექტური სწავლების მეთოდია, რომელიც როლების გათამაშების მეშვეობით ააქტიურებს იმ ძირითად მამოძრავებელ ძალას, რომელიც ეხმარება ადამიანს განავითაროს საკუთარი პოტენციალი, დაეხმაროს პრობლემების გადაჭრაში. სწორედ ამ მეთოდის გაცნობას ვთავაზობთ შეხვედრებზე. ფორუმ- თეატრი ქმნის ისეთ ატმოსფეროს, სადაც თითოეულ მონაწილეს თავისი პოტენციალის ფარგლებში, სრული

შესაძლებლობა ეძლევა გამოთქვას თავისი მოსაზრებები, დაეხმაროს სუკუთარ თავსა და დანარჩენ მონაწილეებს დაინახონ და გააცნობიერონ ქცევის არსებული ალტერნატივები, გააკეთონ სწორი არჩევანი არსებული პრობლემების, მათ შორის -- **მართვის/ორგანიზაციული გამოწვევების,** გადასაწყვეტად.

კურსის წარმატებით შემთხვევაში, მაგისტრანტი შეძლებს:

- სრულყოფილად ფლობდეს ცოდნას ფორუმ-თეატრის ტექნიკის შესახებ და კორექტულად იყენებდეს მას პრაქტიკაში;
- გააცნობიეროს საკუთარი პოტენციალი;
- განავითაროს და გააძლიეროს ასერტიული ქცევის უნარი რთულ და კონფლიქტურ სიტუაციაში.

სტრატეგიული კომუნიკაცია - ლექტორი ნათია გვენეტაძე

კურსი მიმართულია სტრატეგიული კომუნიკაციის ტექნოლოგიებზე და შესაბამის მეთოდებზე, ასევე - მაგისტრანტთა ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნების უნარის შემდგომ განვითარებაზე, რათა მათ შეძლონ სტრატეგიული კომუნიკაციების ადეკვატურად დაგეგმვა და, საჭიროების შემთხვევაში, მათი წარმატებით განხორციელება.

კურსის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, მაგისტრანტი შეძლებს:

- სისტემურად აღწეროს თანამედროვე სტრატეგიული კომუნიკაციის სფეროში არსებული გამოწვევები და დილემები;
- სისტემურად განსაზღვროს თანამედროვე საკომუნიკაციო ამოცანები და თანამედროვე სოციალურ კონტექსტებთან შესაბამისობაში მოიყვანოს ისინი;
- გააანალიზოს ახალი მოცემულობები, რომელიც ციფრული ეპოქის დადგომასთან ერთად წარმოიშვა;
- კრიტიკულად განსაზღვროს ტრადიციული საკომუნიკაციო მიდგომების არაეფექტურობა ციფრულ ეპოქის რიგ შემთხვევებში.

სავალდებულო პოლიტიკური ფსიქოლოგიის მიმართულებისთვის

ფსიქოტრავმატოლოგია - ლექტორი მანანა გაბაშვილი

განიხილება ფსიქოტრავმატოლოგიის არსი და განვითარების ისტორია, უმთავრესად - სოციალური (societal) ტრავმასთან მიმართებით, თუმცა ტრავმისადმი მგრძნობელობის გამახვილების თვალსაზრისით, გარკვეული დრო ინდივიდუალურ ტრავმასაც ეთმობა. განიხილება, ასევე, სოციალური ტრავმის ინდიკატორების ამოცნობის უნარის განვითარება; ამა თუ იმ პოლიტიკური ძალების მიერ სოციალური ტრავმის უტილიზაციის კრიტიკული გააზრებისა და ამაზე მსჯელობის უნარის განვითარება. საქართველოსათვის აქტუალური - დევნილობის ტრავმის ფენომენის გაცნობიერება და სიღრმისეული ანალიზი. ფსიქოსოციალური დახმარების პრინციპები და ფორმები

კურსის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, მაგისტრანტი შეძლებს:

- სიღრმისეულად გაიაზროს ფსიქოტრავმატოლოგიისა და ფსიქოსოციალური დახმარების ცნებები და მიდგომები;
- გამოყოს პოსტტრავმული სტრეული აშლილობისა და სოციალური ტრავმის ნიშნები და დამოუკიდებლად ამოიცნოს სოციალური ტრავმის ინდიკატორები რეალურ ცხოვრებისეულ კონტექსტში;
- დამოუკიდებლად შეაფასოს სოციალური ტრამის კონკრეტული ქეისები, მისთვის ცნობილი აღწერითი და ახსნითი აპარატის გამოყენებით და გასცეს რეკომენდაციები კონსულტირებისა და/ან ექსპერტიზის ფარგლებში;
- არ გასცდეს კორექტულობისა და მიუკერძეობლობის ფარგლებს და გამოხატოს ემპათია კონსულტირების დროს.

პოლიტიკური კონფლიქტი და ომი - ლექტორები რევაზ ჯორბენაძე და ნათია გვენეტაძე

განიხილება პოლიტიკური კონფლიქტისა და ომის გამომწვევი მიზეზების შესახებ ემპირიული და არანორმატიული თეორიები; ასევე საერთაშორისო სისტემაში მიმდინარე პროცესები სახელმწიფოთა ინტერესების განსხვავებულობის, ადამიანის ინდივიდუალურობისა და პიროვნული მახასითებლების და ასევე სხვა ფაქტორები. მათ შორის კავშირი და გადაწყვეტილების მიღებაზე გავლენის საკითხები.

კურსის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, მაგისტრანტი შეძლებს:

- თემატიკასთან კავშირში არსებული სხვადასხვა ისტორიული ქეისის ფაქტობრივ და ფსიქოლოგიურ ანალიზს;
- საერთაშორისო კონფლიქტებისა და ომის ძირითადი თეორიების განხილვას და ანალიზს;
- საერთაშორისო კონფლიქტებისა და ომის შესასწავლად რელევანტური მეთოდების, კერძოდ ფსიქოლოგიური ხასიათის ინსტრუმენტების გამოყენებას;
- კონფლიქტების დინამიკის შეფასებას;
- ომის გამომწვევ მიზეზებსა და საერთაშორისო ურთიერთობებში ძალის გამოყენების შეფასებას და ანალიზს;
- კონფლიქტის ფორმის დადგენასა და შესაბამის თეორიულ საფუძველთან მის დაკავშირებას;
- ფსიქოლოგიური პლატფორმიდან კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირებისა და მიტიგაციის გზების დასახვას.

პოლიტიკური პარტია, როგორც ბრენდი - ლექტორი ირინე ჭელიძე

პოლიტიკური პარტია განიხილება, როგორც ბრენდი იმ მიზნით, რომ მისი და სავარაუდო ელექტორატის კომუნიკაცია აიგოს ეფექტური კომუნიკაციური საწყისებიდან და ორიენტირებული იყოს ელექტორატის მოლოდინებზე.

კურსის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, მაგისტრანტი შეძლებს:

- სრულფასოვნად განმარტოს ბრენდის რაობა;
- დაამყაროს ეფექტური კომუნიკაცია სამიზნე ელექტორატთან;
- განსაზღვროს ელექტორატის მოლოდინები და მოახდინოს მასზე ზემოქმედება.

კინო და პოლიტიკა - ლექტორი - თორნიკე შარაშენიძე

განიხილება პოლიტიკური პროპაგანდის ერთ-ერთი ეფექტური იარაღი -კინო და როგორ შეიძლება ფილმებში ამა თუ იმ ეპოქის რეალობათა დანახვა და ამოკითხვა; კინოს, როგორც ხელოვნების ყველაზე მასობრივი დარგის, როლი უპირველესად ფსიქოლოგიურ ზემოქმედებაში და ასევე (არანაკლებ) ისტორიის ასახვაში, სხვადასხვა სახელმწიფოთა პოლიტიკურ ინტერესების გატარებაში და ასევე პოლიტიკასთან დაკავშირებული პროცესების ფსიქოლოგიურ გააზრებაში.

კურსის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, მაგისტრანტი შეძლებს:

- გააცნობიეროს კინოს როლი პოლიტიკურ პროპაგანდაში, მსოფლიო ისტორიის გაშუქებასა და და აღწერაში;
- დამოუკიდებლად აღწეროს და ფსიქოლოგიური პლატფორმიდან გააანალიზოს პოლიტიკურად მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენები კონკრეტულ ფილმებზე დაყრდნობით;
- შესაბამის ფილმებში დაინახოს ამა თუ იმ სახელმწიფოს პოლიტიკური ინტერესები და პროპაგანდა.

Resilience: Individual, Community/Societal and National - ლექტორები აბრაჰამ ჟერარ მეიერი და მანანა გაბაშვილი (ტარდება ინგლისურ ენაზე, ნაწილობრივ - ონლაინ)

სიღრმისეულად განიხილება მედეგობის თეორიები და ფსიქოლოგიური მედეგობის სხვადასხვა დონე: ინდივიდუალური/პიროვნული, კოლექტიური: საზოგადოებრივი (community or societal resilience) და ეროვნული (national resilience), ასევე - შესაბამისი კვლევის მეთოდები და მედეგობის განვითარებისა და გაძლიერების სხვადასხვა პრაქტიკა.

კურსის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, მაგისტრანტი შეძლებს:

- აღწეროს მედეგობის თეორიის საფუძვლები და ძირითადი განზომილებები როგორც - ფართოდ, ასევე ფსიქოლოგიური პლატფორმიდან;
- განსაზღვროს მედეგობის ცნებები და ტიპები;
- განასხვავოს ინდივიდუალური, საზოგადოებრივი/საზოგადოებრივი და ეროვნული მდგრადობა;
- დამოუკიდებლად მოიძიოს მედეგობის ინდექსი ყველა დონეზე (ინდივიდუალური და კოლექტიური);
- დამოუკიდებლად შეაგროვოს, დაამუშავოს და გააანალიზოს მონაცემები;
- ფსიქოლოგიური კონსულტაცია გაუწიოს ინდივიდებსა და ჯგუფებს მედეგობის განვითარება-გაძლიერების მხრივ;
- იმუშაოს ინდივიდებთან და/ან ჯგუფებთან მედეგობის განვითარება-გაძლიერებაზე
- მკაცრად დაიცვას პროფესიული და ფსიქოლოგიური ეთიკის სტანდარტები ნებისმიერი ფსიქოლოგიური ჩარევის პროცესში - „არ ავნო“ პრინციპის სრული დაცვით.

არჩევითი კურსები

„რაოდენობრივ მონაცემთა ანალიზი SPSS-ის საშუალებით II“

კურსის მიზანს წარმოადგენს „რაოდენობრივ მონაცემთა ანალიზი SPSS-ის საშუალებით I“ კურსში მიღებული ცოდნის **გაღრმავება და განმტკიცება**, რაოდენობრივ მონაცემთა ანალიზის მეთოდთა მრავალფეროვნების დემონსტრირება, კონკრეტული (დამატებითი) მეთოდების წარდგენა და გავარჯიშება.

კურსის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, მაგისტრანტი შეძლებს:

- სიღრმისეულად ჩაწვდეს სისტემურ ცოდნას ისეთი რაოდენობრივ მონაცემთა ანალიზის შესახებ, როგორიცაა **დისპერსიული ანალიზი, მულტივარიციული ანალიზი, რეგრესული ანალიზი, ფაქტორული ანალიზი;**
- სისტემურად მოახდინოს პარამეტრული და არაპარამეტრული სტატისტიკური კრიტერიუმების კლასიფიკაცია;
- სიღრმისეულად განასხვავოს ჯგუფთა შორის და ჯგუფთა შიდა დიზაინები;
- სიღრმისეულად გააცნობიეროს კვლევის ორიგინალური ჰიპოთეზების შემუშავებისა და მათი სტატისტიკური ანალიზის მეთოდებით შემოწმების მნიშვნელობა ინოვაციებისთვის;
- SPSS-ის საშუალებით თანმიმდევრულად გააანალიზოს რაოდენობრივი მონაცემები, შემუშავებული ჰიპოთეზის რელევანტური სტატისტიკური მეთოდის გამოყენებით;
- დამოუკიდებლად შეაფასოს მონაცემთა ანალიზის მეთოდის ადეკვატურობა დასმული პრობლემის გადასაჭრელად;
- ლოგიკურად ჩამოაყალიბოს დასკვნები რთული ან არასრული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე.

„ ადამიანი შიზოიდურ სამყაროში“ - ლექტორი მზია გომელაური

განიხილება და დისკუსიის საგანი ხდება ადამიანის არსებობის ისეთი სპეციფიკური ფორმები თანამედროვე ტექნოლოგიების საუკუნეში, როგორიცაა - გაუცხოვება, აპათია, აგრესია, პიროვნებათაშორისი კონტაქტის გართულება, თავისუფლება, სიცოცხლე და სხვ. კურსი ორიენტირებულია ახალი კითხვების დასმაზე და რეფლექსიაზე.

კურსის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, მაგისტრანტი შეძლებს:

- სიღრმისეულად გაერკვეს ეგზისტენციალური ფსიქოლოგიის ძირითად კატეგორიებში და გაიაზროს ეგზისტენციალური ფსიქოლოგიის ფუძემდებლების შეხედულებები;
- გააცნობიეროს ეგზისტენციალური ფსიქოლოგიის მეთოდოლოგიური და თეორიული პრობლემები;
- გააანალიზოს ფსიქიკური სამყარო ეგზისტენციალურ-ფენომენოლოგიური ცნებების გამოყენებით;
- გააცნობიეროს ფსიქიკური სამყაროს ფუნდამენტური პრობლემების სირთულე და მნიშვნელობა.

“ გენდერის ფსიქოლოგია: გენდერის ფსიქოლოგიური, სოციალური, პოლიტიკური და კულტურული საკითხები “ - ლექტორი ნანა ბერეკაშვილი

კურსი მიმართულია გენდერული კომპეტენციისა და გენდერული მგრძნობელობის განვითარებაზე. განიხილება ძირითადი გენდერული თეორიები და მიდგომები. ლექტორის ხელმძღვანელობით, მაგისტრანტები მუშაობენ გენდერული ანალიზის უნარის განვითარებაზე, გენდერული კვლევის ჩატარების უნარებზე.

კურსის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, მაგისტრანტი შეძლებს:

- კრიტიკულად განსაზღვროს გენდერის თანამედროვე სოციალური, პოლიტიკური და კულტურული დისკურსი და ამ დისკურსში გენდერის ფსიქოლოგიის ადგილი და მიდგომები;
- სიღრმისეულად გაერკვეს გენდერის ფსიქოლოგიურ, სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ საკითხებთან დაკავშირებულ ტერმინოლოგიაში;
- დამოუკიდებლად დასახოს პრობლემათა ოპტიმალური გადაწყვეტის შესაძლებლობები, აწარმოოს სიღრმისეული დაკვირვება, ააგოს კვლევის დიზაინი და ჩაატაროს გენდერული კვლევა;
- სიღრმისეულად გააანალიზოს გენდერული სახის ნებისმიერი გამოწვევა და გამოიტანოს კვალიფიკაციური დასკვნა.

„სოციალურ-ფსიქოლოგიური ტრენინგი“ - ლექტორი რუსუდან მშვიდობაძე

პრაქტიკული კურსი მიმართულია სოციალურ-ფსიქოლოგიური ჯგუფების მართვაზე (ტრენინგებზე) და მთლიანად აგებულია სწავლების აქტიურ მეთოდებზე, რაც ხელს უწყობს ტრენინგის სპეციფიკის გაანალიზებას, ტრენინგის არსისა და კომპონენტების უფრო ადვილად ათვისებას, ტრენინგის ჩატარების გამოცდილების მიღებასა და წარმატებულ ტრენერებად ჩამოყალიბებას.

კურსის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, მაგისტრანტი შეძლებს:

- საფუძვლიანად განსაზღვროს ტრენინგის როლი სოციალური უნარ-ჩვევების შემუშავებისთვის;
- ადეკვატურად გამოიყენოს კურსის განმავლობაში მიღებული სატრენინგო ჩვევები სამუშაო გარემოში - მართოს სატრენინგო ჯგუფი, დაამყაროს მასთან ეფექტური კომუნიკაცია, დაიცვას პროფესიული კორექტულობა და სხვ.

სავალდებულო-არჩევითი მიმართულებიები

1. **“მართვის /ორგანიზაციული ფსიქოლოგია“ - ლექტორები თამარ ტურაშვილი, რუსუდან მშვიდობაძე, მანანა გაბაშვილი**

განიხილება მართვის და ორგანიზაციული ფსიქოლოგიის სისტემა, მისი მისადაგება ცხოვრების რეალობასთან, მართვის/ორგანიზაციული ფსიქოლოგიის ძირითადი დებულებები, პრინციპები და ტენდენციები, ორგანიზაციული პროცესების ძირითადი კომპონენტები, მათი ძლიერი და სუსტი მხარეები.

კურსის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, მაგისტრანტი შეძლებს:

- სიღრმისეულად აღწეროს მართვის/ორგანიზაციული ფსიქოლოგიის ძირითადი დებულებები, პრინციპები და ტენდენციები;
- ფსიქოლოგიური პერსპექტივის გათვალისწინებით, სისტემურად განსაზღვროს მართვის /ორგანიზაციული პროცესები;
- სიღრმისეულად გააანალიზოს ორგანიზაციული პროცესები, გამოყოს მათი ძირითადი კომპონენტები, შეაფასოს მათი ძლიერი და სუსტი მხარეები;
- ზედმიწევნით დაიცვას პროფესიული, ფსიქოლოგიური ეთიკის სტანდარტები, ფსიქოლოგიური ინტერვენციისა და სოციალური ცვლილებების პროცესში

ლიდერობა და ჯგუფის მართვა - ლექტორი რუსუდან მშვიდობაძე

სასწავლო კურსით გათვალისწინებულია ლიდერობისა და ჯგუფის მართვის სწავლება ტრენინგის გზით. განსხვავებით განათლების ტრადიციული მეთოდებისაგან, ტრენინგი მიმართულია კონკრეტულ საქმიანობასთან დაკავშირებული ქცევის ისეთი სპეციფიკური ფორმებისა და ჩვევების შემუშავებისაკენ, რომელთა სწავლება ტრადიციული მეთოდებით (ლექცია, კითხვა და ა.შ.) რთულია. მოსმენა ან წაკითხვა არ გულისხმობს წაკითხულისა თუ მოსმენილის უპირობო ასახვას განცდასა და ქცევაში. ცვლილებები და არსის წვდომა, უმეტესად, რეალური გამოცდილების მიღებით ხდება. შესაბამისად, მომავალი, გამოცდილი ლიდერების მომზადება მეტად მნიშვნელოვანია, განსაკუთრებით ფსიქოლოგიური განათლების მქონე მაგისტრანტთა წრეში. მათ გააჩნიათ საბაზისო ცოდნა, რომელიც გაუადვილებს ტრენერის პროფესიის დაუფლებასა და ტრენინგისა და ზოგადად, ჯგუფის მართვას. ამასთანავე, ფსიქოლოგებს პრაქტიკულ საქმიანობაში ხშირად უწევთ ჯგუფის მართვა და ახალი ჩვევების შემუშავებაზე ზრუნვა.

კურსის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, მაგისტრანტი შეძლებს:

- სრულყოფილად აღწეროს მართვისა და ლიდერობის თავისებურებები და ტენდენციები;
- წარმატებით მართოს ჯგუფი, ითვალისწინებს რა ჯგუფის დინამიკის პროცესებსა და წესებს;
- ზედმიწევნით დაიცვას პროფესიული, ფსიქოლოგიური ეთიკის სტანდარტები, ჯგუფის მართვისა და სხვა ფსიქოლოგიური ინტერვენციის პროცესში

Organizational Resilience -ლექტორები აბრაჰამ ჟერარ მეიერი და მანანა გაბაშვილი (ტარდება ინგლისურ ენაზე, ნაწილობრივ - ონლაინ)

განიხილება ორგანიზაციული მედეგობის ცნება და მისით ოპერირების დეტალები. გათვალისწინებულია ორგანიზაციული მედეგობის პრაქტიკული უნარების განვითარება, ორგანიზაციის და ორგანიზაციული პროცესების შეფასების უნარის განვითარება მედეგობის კუთხით; ორგანიზაციური მედეგობის გაძლიერების უნარ-ჩვევების განვითარება.

კურსის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, მაგისტრანტი შეძლებს:

- სიღრმისეულად აღწეროს ორგანიზაციული მედეგობის ძირითადი ფსიქოლოგიური დებულებები, პრინციპები და ტენდენციები;
- ფსიქოლოგიური პერსპექტივის გათვალისწინებით, სისტემურად განსაზღვროს

ორგანიზაციული მედეგობა, მისი თავისებურებები და ტენდენციები;

- სიღრმისეულად გააანალიზოს ორგანიზაციული მედეგობის პროცესები, გამოყოს მათი ძირითადი კომპონენტები;
- შეაფასოს ორგანიზაციის ძლიერი და სუსტი მხარეები, მედეგობის თვალსაზრისით;
- ზედმიწევნით დაიცვას პროფესიული, ფსიქოლოგიური ეთიკის სტანდარტებს ფსიქოლოგიური ინტერვენციისა და სოციალური ცვლილებების პროცესში.

„პოლიტიკური ფსიქოლოგიის თანამედროვე საკითხები " - ლექტორები მანანა გაბაშვილი, ალექსანდრე ავალიანი

პოლიტიკური ფსიქოლოგიის სისტემა საკვანძო თემატიკა, პოლიტიკური პროცესები და პოლიტიკური აქტორები და ამ კომპონენტების მისადაგება პოლიტიკური ცხოვრების რეალობასთან. პოლიტიკური ფსიქოლოგიის თეორიის წარმოშობისა და განვითარების ეტაპები ანტიკურობიდან ახალ დრომდე, პოლიტტექნოლოგიის საკითხები. აქცენტი კეთდება თანამედროვე პოლიტიკური ფსიქოლოგიის კონკრეტულ მიმართულებაზე - ვამიკ ვოლკანის და მისი მიმდევრების თეორიაზე, რომელიც წინა საუკუნის ბოლო ათწლეულებში ვითარდება, ეფუძნება რა ფსიქოანალიზური თეორიის, ერთი მხრივ და საერთაშორისო ურტიერთობების/დიპლომატიის, მეორე მხრივ, მიდგომებს. განიხილება კოლექტიური ტრავმა, მისი რევიტალიზაცია, კოლექტიური მედეგობა და ასევე პოლიტიკური აქტორების ფსიქოლოგიური პორტრეტები.

კურსის ფარგლებში მაგოსტრანტი ეცნობა არა მხოლოდ უშუალოდ ფსიქოლოგიურ ასპექტებს, არამედ - პოლიტიკური ფსიქოლოგიის ინტერდისციპლინური ხასიათიდან გამომდინარე - სხვა მნიშვნელოვან საკითხებს - კერძოდ, პოლიტიკური იდეოლოგიის ფსიქოლოგიის სფეროდან.

კურსის წარმატებით დასრულების შემთხვევაში, მაგისტრანტი შეძლებს:

- ფსიქოლოგიური პერსპექტივის გათვალისწინებით, სისტემურად განსაზღვრავს და სიღრმისეულად აღწერს პოლიტიკური ქცევის თავისებურებებსა და ტენდენციებს და პოლიტიკური აქტორების მახასიათებლებს;
- კრიტიკულად აანალიზებს პოლიტიკურ პროცესებს და აქტორებს და აფასებს მათ ფსიქოლოგიური თვალსაზრისიდან გამომდინარე;
- „ხატავს" აქტორების/ლიდერების ფსიქოლოგიურ პორტრეტებს;
- ამჟღავნებს პოლიტიკურ დებატებში მონაწილეობის უნარ-ჩვევებს;
- გამოაქვს პოლიტიკური პროცესებიდან ფსიქოლოგიური დასკვნები;
- პასუხიმგებლობას იღებს პოლიტტექნოლოგიების გამოყენებისას და იცავს კორექტულობას.